1. **ნივთიერების/ მომზადებისა და კომპანიის/ საწარმოს იდენტიფიკაცია**
შპს Diversey

ნებართვის კოდი **SUMA GRILL D9** **პროდუქტის კოდი**

DL10215 ეფექტური ჰიგიენური პროდუქტი სამზარეულოსთვის **MSDS1461**

მიმართვა

2. **რისკების იდენტიფიკაცია**
კოროზიული– იწვევს სერიოზულ დამწვრობებს
ეს პროდუქტი შეიცავს WEL –ის მასალას , რომელიც გამოქვეყნებულია HSE დოკუმენტი EH40–ში.

3. **შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტებზე**

CAS No	EINECS No			
1310-73-2	215-185-5	ნატრიუმის ჰიდროქსიდი (WEL)	C: R35	(5-15%)
68515-73-1	500-220-1	ალკილირებადი პოლიგლუკოზიდი	Xi: R41	(<5%)
34590-94-8	252-104-2	(2-მეტოქსილური მეთილის ეთოქსიდი)პროპანოლი (WEL)	-	(<5%)

ინგრედიენტები ევროკავშირის მიხედვით EC 648/2004
არაუმეტეს 5%: არაიონური სურფაკტანტები

საფრთხის შემცველი ფრაზების მთელი ტექსტი მოცემულია ნაწ 16.

4. **პირველადი დახმარებისას ჩასატარებელი ღონისძიებები**
თვალები: დაუყონებლივ ამოიბანეთ თვალები წყლის დიდი რაოდენობით არანაკლებ 10 წთ–ის განმავლობაში,ქუთუთოები გქონდეთ გახელილი,მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.
ინჰალაცია: მოაცილეთ გავრცელების წყაროებს. დაუყონებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.
კანი: სასწრაფოდ და საგულდაგულოდ დაიბანეთ ტანი წყლით. მოიცილეთ გაბინძურებული ტანსაცმელი. სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

ჩაყლაპვა: პირიდან მოიშორეთ არასასურველი პროდუქტი, მიიღეთ მცირე რაოდენობით წყალი და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. არ გამოიწვიოთ ღებინება.

5. **ხანძარსაწინააღმდეგო ზომები**
არააალებადი – სხვა მიზეზების გამო ცეცხლის გაჩენის შემთხვევაში , პროდუქტის თავსებადობა ხდება წყალთან, ქაფთან, ნახშირორჟანგთან და მშრალი ფხვნილის ცეცხლსაქრობებთან, შეიძლება მოხდეს ცეცხლში გახვეული მომწამვლელი კვამლის გამოშვება. მეხანძრეებმა თან უნდა იქონიონ სასუნთქი აპარატები, შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი , დამცავი ხელთათმანები, თვალებისა და სახის დამცავების ჩათვლით.

6. **შემთხვევითობისას მისაღები ზომები**
ჩაიცვით დამცავი ტანსაცმელი, გაიკეთეთ თვალებისა და სახის დამცავები და დამცავი ხელთათმანები. შლანგით მიასხურეთ დიდი რაოდენობით წყალი, გახსენით სულ ცოტა 1% წონა/ მოცულობა (10 გ/ლიტრი). თუკი არ მოხდება წყლის ან მცენარის დაბინძურება. ერთად მოგროვების შემდეგ აღნიშნული დოზებით კიდევ ერთხელ გააზავეთ წყალი, ბინძური წყალი ჩაღვარეთ საკანალიზაციო მილში, ან შეურიეთ მშრალ მიწას ან მსგავს ნივთიერებებს და მიმართეთ ლიცენზირებული ნარჩენების მართვის კომპანიას.

7. **დამუშავება და შენახვა**

პროდუქტი მოარიდეთ თვალებთან და კანთან კონტაქტს. ატარეთ შესაბამისი დამცავი ხელთათმანები , თვალებისა და სახის დამცავების ჩათვლით. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან გაფანტული წვეთები. პროდუქტის გამოყენებისას ყოველთვის უზრუნველყავით კარგი ვენტილაცია. აღკვეთეთ აეროზოლის წარმოქმნა. Diversey –ის კომპანიის წარმომადგენლის მიერ მიღებული რჩევების გარდა არ შეურიოთ სხვა ტიპის ქიმიური ნივთიერებები. შეინახეთ ვერტიკალურად თავისივე კონტეინერებში, დახურულ მდგომარეობაში. მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას.

8. გამოვლენის კონტროლი/ პირადი უსაფრთხოება

ხელი: გამოიყენეთ ნატრიუმის ჰიდროქსიდისგან დამცავი ხელთათმანები

თვალები: პროდუქტის ახლოს გამოყენებისას ატარეთ თვალებისა და სახის დამცავები EN 166

კანი: ჩაიცვით დამცავი მთლიანი სპეც. ტანსაცმელი ან გაიკეთეთ ტუტესგან დამცავი გულსაფარი.

რესპირაცია: არ შეისუნთქოთ აირი, ორთქლი, აეროზოლი. პერსონალური დამცავი აღწურვილობის გამოყენება საჭიროა მხოლოდ მაშინ, სადაც არ ხდება პროდუქტის შეკავებისა ან გამოყოფის ვენტილაცია. გამოვლენის შესაკავებლად (აღწევს მაქსიმუმს, რისთვისაც რესპირატორი არის შექმნილი) გამოიყენეთ საშიში წყლის ორთქლის წვეთებისგან შესაბამისი დამცავი ნიღაბი.

WEL : ნატრიუმის ჰიდროქსიდი W.E.L. 2 მგ/მ ^{3} 15 წთ. მითით. დრო

(2-მეტოქსი მეთილი ეთოქსი) პროპანოლი , (დიპროპილენი, გლიკოლი ,მეთილი,ეთერი) W.E.L. 308 მგ/მ^3 8 სთ TWA

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

გარეგნული ფორმა: წმინდა მუქი ყავისფერი სითხე **სუნი:** დამახასიათებელი

pH >12.5 **ხსნადობა:** მთლიანად იხსნება წყალში

სიმკვრივე 1.12გ/სმ ^{3}

10. მდგრადობა და რეაქტიულობა

შეინახეთ მჟავებისგან მიუწვდომელ ადგილას. შეინახეთ პროდუქტი დამტკიცებული მითითებების მიხედვით, სადაც არ არის ცნობილი სახიფათო დამშლელი პროდუქტები.

11. ტოქსიკოლოგიის შესახებ ინფორმაცია

თვალები: კოროზიული – იწვევს ძლიერ ან მუდმივ დაზიანებას

კანი: კოროზიული – იწვევს ძლიერ დამწვრობებს

ინჰალაცია: მწვავე გამღიზიანებელი. ორთქლის წვეთების შესუნთქვა იწვევს რესპირატორული ტრაქტის გაღიზიანებას.

ჩაყლაპვა: კოროზიული. პირის ღრუსა და ყელში ძლიერი კაუსტიკური მოქმედება ქმნის საყლაპავი მილისა და მუცლის ღრუს გახვრეტის საფრთხეს.

12. ინფორმაცია ეკოლოგიაზე

დანიშნულების მიხედვით გამოყენებისას , პროდუქტი უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს გარემოზე.

13. ადგილმდებარეობის გათვალისწინება

საშიში ნარჩენების წესდებისა (2005) და ნარჩენების სიის წესდების (2005) მიხედვით, სუფთა პროდუქტი საშიშ ნარჩენად კლასიფიცირდება. ასეთი სახის პროდუქტის დიდი რაოდენობის შემთხვევაში დაუკავშირდით ლიცენზირებული ნარჩენების მართვის კონტრაქტორს.

ევროპ. ნარჩენების კატალოგი 20 01 15 ტუტეები

თუკი შესაძლებელია გამოყენების შემდეგ საგულდაგულოდ გამორეცხეთ კონტეინერი, და განათავსეთ, როგორც კომერციული ნარჩენი. ასევე ლიცენზირებული ნარჩენების მართვის კონტრაქტორის დახმარებით.ადგილიდან მოაცილეთ დაბინძურებული კონტეინერი დაიცავით ყველა ადგილობრივი და რეგულარული ნარჩენების წესდება.

14. ინფორმაცია გადაზიდვაზე

EEC რეგულირება : ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ხსნარი UN1824, Class 8, PG II

IMDG/UN : ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ხსნარი UN1824, Class 8, PG II

RID/ADR : ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ხსნარი UN1824, Class 8, PG II

ICAO/IATA : სამგზავრო თვითმფრინავი: 809, Y809
სატვირთო თვითმფრინავი: 813

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

საფრთხის შემცველი აღნიშვნა: C, კოროზიული შეიცავს ნატრიუმის დიოქსიდს

რისკის შემცველი ფრაზები: R35– იწვევს სერიოზულ დამწვრობებს

უსაფრთხოების ფრაზები: S23 არ შეისუნთქოთ ორთქლი ან წვეთები

S26 თვალებში მოხვედრის შემთხვევაში წყლის დიდი რაოდენობით ჩამოიბანეთ თვალი და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

S28 კანზე მოხვედრის შემთხვევაში წყლის დიდი რაოდენობით დაუყონებლივ ჩამოიბანეთ კანი.

S36/37/39 ჩაიცვით შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი, გაიკეთეთ დამცავი ხელთათმანები, თვალებისა და სახის დამცავები.

S45 უბედური შემთხვევის ან შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში დაუყონებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას (თან იქონიეთ ეტიკეტი)

S51 გამოიყენეთ მხოლოდ კარგად განიავებულ ადგილას.

16. **სხვა ინფორმაცია**

დაამუშავეთ და გამოიყენეთ პროდუქტი ისე როგორც არის რეკომენდირებული. სრული ინფორმაციისათვის იხილეთ პროდუქტის საინფორმაციო ფურცელი.

შიდა მითითება: MSDS1461-04 (16-მარტი-2007), FAGVL07W10

საფრთხის შემცველი ფრაზების მთელი ტექსტი ინგრედიენტების ჩათვლით მოცემულია ნაწ 3

R35 – იწვევს სერიოზულ დამწვრობებს

R41 - თვალის სერიოზული დაზიანების საფრთხის არსებობა

ცვლილებები შეტანილია შემდეგ ნაწილებში: 2.3.4.11.13.14 და 16